პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 87 (20733) — პარასკევი, 13 აპრილი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საკითხები, რომლებიც უკავშირდება ყრილობისწინა დისკუსიის მიმდინარეობას, პარტიის XXVIII ყრილობისთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმისა და სკკპ წესდების პროექტების განხილვას. აღინიშნა, რომ დისკუსია პარტიასა და საზოგადოებაში ცხოველად და ნაყოფიერად მიმდინარეობს, ერთმანეთს უპირისპირდება სხვადასხვაგვარი აზრები ფართო წრის პრობლემებზე, მდიდარ და მრავალფეროვან მასალას იძლევა ამ პარტიული დოკუმენტების გასამდიდრებლად.

ამასთანავე ბევრი კომუნისტი, პარტიული ორგანიზაციები ხერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ზოგიერთ სკკპ წევრი უოველნაირად ცდილობს გაიყვანოს დისკუსია კონსტრუქციული კალაპოტიდან ფრაქციული ბრძოლის გზაზე, პროვოკაციულად გათიშოს პარტია, შეიქმნა იმის საჭიროება, რომ მიეცეს შეფასება ასეთ ცდებს, მოუწოდონ პარტიული რიგების კონსოლიდაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებთან, სკკპ ცენტრალური რევიზიო კომისიის წევრებთან შეთანხმებით და მოკავშირე პარტიული სტრუქტურების სპეციალიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნების აზრის გათვალისწინებით მომზადებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღია წერილი ქვეყნის კომუნისტებს „პრინციპულ საფუძველზე კონსოლიდაციისათვის“, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

ერთად ვიაროთ გარდაქმნის გზით

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა საკავშირო სკკპ XXI ყრილობის დელეგატთა წინაშე

საგზოთა ახალგაზრდობა სრულიერადულად არის დაინტერესებული გარდაქმნის წარმატებით. ახლა დიალოგის დროა და საფუძვლიანად და ავტორიტეტულად გაისმის ხმა თაობისა, რომელმაც უნდა იტვირთოს სოციალისტური სამშობლოს მომავალი. კომუნისტური პარტია მას სთავაზობს ესაბრაოს როგორც ტოლი ტოლს. 10 აპრილს მოსკოვში საკავშირო სკკპ XXI ყრილობის დელეგატებს შეხვდა სსრ კავშირის პრეზიდენტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი. იგი გამოვიდა საბჭოთა კომკავშირის მრავალმილიონიანი რაზმის წარმომადგენლთა წინაშე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ვ. ა. მედვედევი, გ. პ. რაუშენბუხი, ა. ნ. გირეკოო, ი. ... მანაენკოვი, ე. ს. სტროევი, გ. ი. უსმანოვი და ი. ტ. ფროლოვი.

გულითადად მოგესალმებით და გისურვებთ წარმატებას მუშაობაში, კომკავშირულ საქმეებში. მაგრამ ამასთანავე უწინარესად მინდა, წარმატება ვუსურვო თვით ყრილობას. იგი გჭირდებათ არა მარტო თქვენ, იგი სჭირდებათ კომუნისტებს, მთელ ქვეყანას, ვინაიდან საქმე ეხება ჩვენს ახალგაზრდა თაობას, ახალგაზრდულ მოძრაობას, მის როლსა და ბუნებრივია, ახალგაზრდობის ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციის სვე-ბედსა და როლს, როგორიც არის კომკავშირი.

ისე მოხდა, რომ კომკავშირის ყრილობა მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დაბადების 120 წლისთავის დამდეგს. სოციალიზმის აღმშენებლობის ლენინური პერიოდისაგან ჩვენ სამოცდახუთი წელი გვაშორებს. ეს წლები აღსავსეა დრამატული მოვლენებით, რომლებშიც ერთმანეთს ენაცვლება რადიკალური შემართებანი და სამომავლო მიღწევები, მწარე მარცხი და უკან დახვევა და ამასთანავე სახალხო ინიციატივის უდიდესი აღმავლობა. ამავე ათწლეულებმა დაიტა ჩვენი ხალხის ნამდვილი, მართლაც უდიდესი გამარჯვებების გრგვინვა და ტოტალიტარიზმის მომაკვდინებელი ბატონობა, აუნაზღაურებელი დანაკლისის, ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების სიმწარე.

ჩვენი ისტორიით შობილი წინაალმდეგობანი მსჭვალავენ საბჭოთა საზოგადოების დღევანდელ ცხოვრებასაც. ამ წინაალმდეგობათა გამოსავალს ვეძებთ რევოლუციური გარდაქმნის გზებზე. რით დაგვეხმარებოდა დღეს ლენინი, რა შეგვიძლია ვისწავლოთ და რა უნდა ვისწავლოთ მისგან? ახლა პრესაში პასუხისმგებლური ბჭობა გაჩაღდა ლენინის შემკვიდრეობაზე, ჩვენს რევოლუციაზე, მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ბედზე. ყოველივე ეს ჩვენ ყველას გვჭირდება, და მე მივესალმები ამ ბჭობას.

უნდა ვაღიაროთ, რომ განვლილმა ათწლეულებმა ცნობიერებაში ჩამოგვიყალიბა ლენინის რაღაც გამარტივებული სახე. სახე თეორეტიკოსისა, რომელიც მყისვე სცემდა პასუხს ცხოვრების ყველა კითხვას, პოლიტიკოსისა, რომელიც ლამის ჯიქურ მიდიოდა ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული მიზნისაკენ.

ჩვეულებრივ, მხედველობის ფარგლებს გარეთ, ღრმად გაუაზრებელი გვრჩებოდა ლენინური გონების, ლენინური ტაქტიკის დიალექტიკური მოქნილობა, მისი ხიზღი დოგმატიზმისა და ვოლუნტარიზმის, ავანტიურიზმისა და უკუნური, თავზე ხელაღებული მიდგომისადმი.

ლენინიზმის პათოსი — ეს არის არა ძალადობა, არამედ აღმშენებლობა. ლენინმა გვიანდერძა სამოქალაქო მშვიდობის, და არა სამოქალაქო ომის იდეა, კონსოლიდაცია, და არა დაქსაქსვა. იგი ოცნებობდა, რომ ახალი ცხოვრების მშენებლობაში მონაწილეობა მიეღო რაც შეიძლება მეტ ხალხს, ხოლო შემდეგ — უკლებლივ ყველა მშრომელს. სოციალიზმი, როგორც მშრომელ ადამიანთა ცოცხალი და თავისუფალი შემოქმედება, — აი, ამხანაგებო, ლენინიზმის თავიდათავი.

დღეს ჩვენს ქვეყანას და ჩვენს საზოგადოებას არაფერი არ სჭირდებათ ისე, როგორც ადამიანთა და ხალხთა თავისუფალი, ნებაყოფლობითი, ამხანაგური შეკავშირება. ერთიანი ოჯახიშვილობის გრძნობის გაცნობიერება — ოქტომბრით შექმნილი მორალური პოტენციალის აღორძინება და გამრავლება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გვთავაზობს ასეთი შეკავშირების ფართო პლატფორმას, ჰუმანური დემოკრატიული სოციალიზმის პლატფორმას. პარტია მოგვიწოდებს ამ საფუძველზე შევაკავშიროთ მთელი ჯანსაღი საზოგადოებრივი ძალები, რომლებისთვისაც ნამდვილად ძვირფასია ხალხის ღვიძლი ინტერესები.

ნამდვილი ლენინი საოცრად თანამედროვეა, და ნუ ეწდობით იმათ, ვინც საწინააღმდეგოს ამბობს. შეეცადეთ თვად დარწმუნდეთ ამაში. გარდაქმნის წინააღმდეგობებში, მის მოქცევასა და უკუქცევაში სულ უფრო ნათლად გამოსჭვივის ლენინური აზრი სოციალიზმზე მთელი შეხედულების ძირეული შეცვლის საჭიროების შესახებ. აქ ყურადღებით უნდა ჩავუღრმავდეთ ლენინის შრომების, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო წლების ნაშრომების აზრს. 1983 წელს მე დამევალა გამეკეთებინა მოხსენება ლენინის წლისთავზე და, როდესაც სწორედ ამ ნაშრომებს ჩავუჯექი, ვიგრძენი, როგორ შესტკიოდა ვლადიმერ ილიას ძვლ გული სოციალისტური რევოლუციის, ჩვენი სახელმწიფოს ბედ-იღბლისათვის.

ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა, ღრმად არის დასამუშავებელი ლენინის იდეები სოციალიზმის, როგორც მშრომელ ადამიანთა საზოგადოების, როგორც დემოკრატიული წყობილების, მასების შემოქმედების შესახებ. საბჭოების ხელისუფლების, მმართველობის აპარატის გადაკეთების, მშრომელთა თვითმმართველობისა და ცენტრალიზმის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი კოლექტივების ერთიან მოქმედებას. გარდამავალი ეკონომიკის მრავალწყობიანობისა და მასში საკუთრების ფორმების მრავალფეროვნების შესახებ, ცივილიზებულ კოოპერატორთა წყობის შესახებ, ეგგმისა და ბაზრის, მკაცრი აღრიცხვისა და ყაირათიანობის შესახებ სოციალიზმის დროს ერების, სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის, ყველა ერისა და ეროვნების ადამიანთა თანასწორობის, მრავალეროვან ქვეყანაში ცხოვრების უნარის შესახებ. კაცობრიობის მიერ შექმნილი კულტურის მთელი სიმდიდრის დაუფლების, სოციალიზმის დროს კულტურის განვითარების შესახებ. პარტიის, არა ომის მოტრფიალე, არამედ აღმშენებელი, მშრომელთა გამაერთიანებელი პარტიის შესახებ.

ყველაზე ძვირფასი, რაც აქვს ლენინიზმს, — ეს არის დიალექტიკის ხელოვნება, უნარი გაითვალისწინოს გარდამავალი, რევოლუციური ეპოქის ურთულესი თავისებურებანი, გაიგოს და გამოიყენოს მისი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, მამოძრავებელი ძალები. მე მოგიწოდებთ ღრმად ჩასწვდეთ ლენინური შემკვიდრეობის იდეების, გამოცდილების უნიკალურ სიმდიდრეს.

ვუბრუნდები რა თქვენს ყრილობას, მინდა ვთქვა, რომ თქვენ გარკვეულწილად მოგიწევთ გადაწყვეტოთ ისეთივე მნიშვნელობის ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა მოუხდათ თავის დროზე ქალაქშვიელებსა და ჰაბუკებს, მოსკოვში რომ შეიკრიბნენ თავიანთი ორგანიზაციის პირველ ყრილობაზე და დასაბამი მისცეს ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს. მაშინაც იყო შეხლა-შემოხლა, ცხარე დისკუსიები, პაექრობაში მონაწილეობდნენ პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც ახალგაზრდობასთან ერთად ეძებდნენ პასუხს კითხვებზე:

„როგორი უნდა იყოს ახალგაზრდული მოძრაობა?“. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი ვ. ი. ლენინის მომდევნო გამოსვლაც „ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები“. მაშინ ჩამოყალიბდა კომკავშირის მსოფლმხედველობითი საფუძველი, შეირჩა მისი საქმიანობის თვალსაზრისების უკომპრომისო, შეუპოვარ შეხლა-შემოხლას. ამ მთავარ კითხვაზე პასუხის ძიებაში უაღრესად ფართოა აზრთა სპექტრი. თუმცა, ასეა ყოველთვის, როდესაც საზოგადოება ბაჯარიდინზე დგას და რევოლუციურ რყევებს განიცდის. ასეთ პირობებში რომ არ დავიბნეთ, რომ არ შეგვშალოს გზის არჩევანი, საჭიროა, ეტაზეს ყოველსა, ჩავწვდეთ დროების საზრისს, მივაგნოთ იმ დომინანტს, იმ ძირითად ტენდენციას, რომელიც წარმართავს მოვლენათა მიმდინარეობას. და უკვე შემდეგ, ამ ამოსავალი პუნქტიდან უფრო იოლი იქნება ვეძებოთ და ვპოვოთ პასუხი ბევრ სხვა, კონკრეტულ კითხვაზე, რომლებსაც ყოველდღიურად ვაწყდებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

თუ მოკლედ განვსაზღვრავთ ახლანდელ მომენტს, ეტაპს, რომელსაც ჩვენი საზოგადოება გადის, ჩემი აზრით, მასზე ზედგამოჭრილია „გარდამტეხის“ ცნება. ყველას — ჩვენს ქვეყანაშიც და მთელ მსოფლიოშიც — ნათლად ესმის, რომ საბჭოთა საზოგადოება ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის პროცესშია. მაშასადამე, გარდატეხის ეტაპზეა. მაგრამ თვით გარდატეხასაც აქვს სრულიადსხვაგვარი განზომილება, იმისდამიხედვით, თუ რა მასშტაბით, რა საწყაოთი ვუდგებით მიმხდარის შეფასებას. თუ ამ შეფასებას ისტორიული საწყაოთი მივუდგებით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენში მიმდინარეობს ამ საუკუნეში მეორე რევოლუცია.

ხუთი წლის წინ, როდესაც ჩვენ ამ გზას დავადექით, არა მარტო უფროსი თაობის ხალხი, არამედ მოაზროვნე ახალგაზრდობაც გრძნობდა, იცნობიერებდა, რომ ბევრი რამ არა გვაქვს რიგზე, რომ ასე ცხოვრება ვეღარ მოხერხდება. შეიძლება ითქვას, რომ ჩატყდა ხიდი გამოცხადებულ მაღალ პრინციპებსა და იმას შორის, რაც ცხოვრებაში ხდებოდა. ქვეყანა კატასტროფული სისწრაფით კარგავდა პოზიციებს, უკან მიექანებოდა პროგრესის უკულმავ ყველა ძირითადი მაჩვენებლის (დასასრული ბე-ე გვ.).

ПРИНЦИПУЛ САФУДЗВЕЛЗЕ КОНСОЛИДАЦИИСАТВИС

СКСС ЦЕНТРАЛУРИ КОМИТЕТИС ДИА ЦЕРИЛИ ХВЕУНИС КОМУНИСТЕБС

АМХАНАГО КОМУНИСТЕБО!

ამ წერილით მომართვის სურვილი გაგვიღვიძა იმან, რომ რთული, წინააღმდეგობრივი პროცესები მიმდინარეობს საზოგადოებასა და პარტიაში სკკპ XXVIII ყრილობის წინ.

ქვეყანაში მიმდინარე ღრმა ცვლილებები, მის წინაშე წამოჭრილი პრობლემების სიმწვავე ყრილობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება მომზადებული ჩვენი პარტიული ფორუმი, როგორი განწყობილებით, იდეური ბაგაჟით და პოლიტიკური აქტივით შეეგებებიან მას კომუნისტები.

ახლა პარტიულ ორგანიზაციებში, პრესაში ძლიერდება ყრილობისწინა დისკუსია, რომელსაც საფუძვლად უძევს პარტიის XXVIII ყრილობისათვის პლატფორმისა და ახალი წესდების ცენტრალური კომიტეტის მიერ მომზადებული პროექტები.

ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემის უკუგდება, ორიენტაცია იმაზე, რომ დამკვიდრდეს ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმი, ეფექტიანი საგეგმო-საბაზრო ეკონომიკა, სამართლებრივი სახელმწიფო, განახლდეს საბჭოთა ფედერაცია, ხალხს შეექმნას ცხოვრების ღირსეული პირობები, ახალი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ბოლოს მოუღებს „ცივ ომს“, და რესურსების მოხმარება ქვეყნის კეთილდღეობისათვის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის ეს დებულებები, რომლებიც გამოხატავენ გარდაქმნის აზრს, პარტიისა და ხალხის შეკავშირების მნიშვნელოვანი ბაზაა.

ფართო და თავისუფალი დისკუსიის დროს ზოგი მხარს უჭერს, ზოგი კი აკრიტიკებს და მწვავედაც აკრიტიკებს პროექტებს, შეაქებთ შესწორებანი, დამატებანი, დაზუსტებანი, გვთავაზობენ ალტერნატიულ ვარიანტებს, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ყოველივე იმის განსაზოგადებლად და გასაანალიზებლად, რაც გაამდიდრებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმას და წესდებას.

დისკუსია ასახავს პარტიაში და საზოგადოებაში არსებული შეხედულებებისა და პოზიციების მრავალფეროვნებას, ავლენს ადამიანების შეშფოთებას, რაც გამოწვეულია სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში დაძაბულობით, ეკონომიკაში კრიზისული მოვლენებით, ეროვნებათაშორის ნიადაგზე კონფლიქტებით, სეპარატისტული ტენდენციებით, დამოუკიდებელი ზრდით, დისციპლინისა და წესრიგის შესუსტებით.

სიჯაროობის, დემოკრატიისა და აზრის თავისუფლების პირობებში ჩვენში ნორმად იქცა ფართო სპექტრის პოლიტიკური შეხედულებებისა და პოზიციების არსებობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც უარი თქვა კანონმდებლობით განმტკიცებინა თავისი ხელმძღვანელი როლი, საქმით ცხადყო, რომ იგი ემხრობა იდეების დაუფარავ პატიოსან შეჯიბრებას.

ამავე დროს ცენტრალურ კომიტეტს შეუძლებელად მიაჩნია გვერდი აუაროს გარკვეული პირების იმ ცდებს, რომ პარტიას გადაბრევინონ მის მიერ აღებული სტრატეგიული კურსიდან, და თუ ამას ვერ მოახერხებენ, პროვოკაციულად გამოიწვიონ მისი გათიშვა.

ეს კეთდება როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან. ისინი უარყოფენ გარდაქმნას, რადგან იგი მიაჩნიათ საზოგადოებისა და პარტიის „ლიბერალურ-ბურჟუაზიულ გადაგვარებად“. სხვები, პირს კრავენ რა ანტისოციალისტურ ძალებთან, ოქტომბრის რევოლუციას ტრაგიკულ შეცდომად აცხადებენ და კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის მოუწოდებენ ხალხს. სერიოზული საშიშროებაა ნაციონალისტური, შოვინისტური განწყობილება და სეპარატისტული მისწრაფებები. ყოველივე ეს გარკვეულწილად აისახება პარტიაშიც.

კომუნისტები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ბევრ პარტიულ სტრუქტურაში კვლავ შეიმჩნევა კონსერვატიზმი, დოგმატური აზროვნება და მოქმედება, იმის უუნარობა, რომ დიალოგი გამართონ ადამიანებთან, მოუსმინონ და გაუგონონ მათ, ხელი გაუწოდონ. ყოველივე ეს პარტიას საგრძნობ ზიანს აყენებს. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციების, ნამდვილი დემოკრატიის, სიჯაროობის, ადამიანის მიმართ პრიორიტეტული ყურადღების დამკვიდრების მზარდი მოთხოვნილების გაუთვალისწინებლობა ნიშნავს პოლიტიკური ცხოვრების განაპირას აღმოჩნდე. სტალინიზმის მემკვიდრეობისა და უძრაობის მტკიცე, უარყოფა საარსებო აუცილებლობაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის.

არახალკენ შემფოთებას იწვევს ის, რომ გარდაქმნის დროში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელმა რიგმა წევრებმა პარტიის წინაალმდეგ ბრძოლა გააჩაღეს ფსევდორადიკალური პოზიციებიდან. აცხადებენ რა თავს „თანამიმდევრულ დემოკრატებად“, ძირეული ცვლილებების ლამის ერთადერთ მომხრეებად, მათ იერიში მიიტანეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე, ზოგმა კი აშკარად გაილაშქრა ლენინისა და ლენინიზმის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს იმ პირთა საქმიანობა, რომლებიც ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული პლატფორმის“ გარშემო გაერთიანდნენ.

შეგახსენებთ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი გთავაზობთ, შემოიტანოთ წინადადებები, ალტერნატიული პროექტებიც კი. და, რა თქმა უნდა, არაფერი საძრახისი არ არის იმაში, რომ პარტიის წევრთა ჯგუფმა გამოთქვა თავისი შეხედულებები. უფრო მეტიც, გასაგებია „დემოკრატიული პლატფორმის“ ტექსტში გამოხატული სეპიროზული შეშფოთება საზოგადოებასა და პარტიაში არსებული სიტუაციით, მისწრაფება — მტკიცედ შეიცვალოს იგი, ბევრს მოსწონს მწვავე, კრიტიკული ხასიათის დოკუმენტი.

მაგრამ „დემოკრატიული პლატფორმა“ არსებითად არ შეიცავს იმის რაიმე სერიოზულ ცდას, რომ კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში. მასში არ არის გაცემული პასუხი პრინციპულ კითხვებზე, რომლებიც აწუხებს დღეს ჩვენს საზოგადოებას, არ არის კონკრეტული წინადადებები ეკონომიკის, სოციალური სფეროს, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის, საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის დარგში.

წარსულისა და აწმყოს მკვახე შეფასების, მყვირალა ლოზუნგების მიღმა, რომლებიც ნაკარნახევია, ერთი შეხედვით, ისევ სურვილით, რომ გარდაქმნას უფრო რადიკალური ხასიათი მიენიჭოს, იფარება „დემოკრატიული პლატფორმის“ ავტორთა ზრახვები — გადაამტვრიონ ჩვენი პარტია რაღაც უფორმო ასოციაციად, რომელიც სრული თავისუფლება ექნებათ ფრაქციებს და დაჯგუფებებს, ანუ პრაქტიკულად დაშალონ იგი.

ამ მიმართულებით გაჩაღდა ფართო პროპაგანდისტული და ორგანიზატორული საქმიანობა. მიმდინარეობს მომხრეების რეგისტრაცია, შეიქმნა საკოორდინაციო საბჭოები ცენტრსა და ზოგიერთ რეგიონში, იგზავნებიან ემისრები ადგილებზე, დაისვა საკითხი, რომ შეიქმნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან დამოუკიდებელი მატერიალური ბაზა. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შიგნიდან გათიშვის, პოლიტიკური ასპარეზიდან მისი ჩამოცილების კურსი.

აისებითად ასეთივე შედეგებამდე მიგვიყვანს პარტიისათვის ფედერალისტური სტრუქტურის თავსმოხვევის, კომუნისტების ეროვნული ნიშნით გათიშვის ცდები.

ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ პარტიის გათიშვისა, ჩვენ ხმა ვუჭერთ პარტიული რიგების კონსოლიდაციას.

ამა თუ იმ პრობლემის გაგებაში, გარდაქმნის ამოცანათა დასახვაში განსხვავება, თუ ეს არ უარყოფს პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, შეიძლება იყოს და უნდა იყოს კიდეც ყოველმხრივი განხილვის საგანი, მაგრამ არამც და არამც, — პარტიის გათიშვის მიზეზი. ყოველ კომუნისტს აქვს ყველანაირი შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საყრილობო დისკუსიაში, გამოხატოს, დაიცვას და გაიტანოს თავისი შეხედულებები. სკკპ პლატფორმისა და წესდების პროექტები ღიაა ნებისმიერი წინადადებისა და დამატებისათვის. მხოლოდ სოციალისტური არჩევის ფარგლებში სხვადასხვა აზრის გონივრული სინთეზის გზით შეიძლება შეიქმნას კომუნისტთა ერთიანი პლატფორმა, რომელიც განსაზღვრავს პარტიისა და ქვეყნის მომავალს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ უნდა გააქტიურდეს მთელი ყრილობისწინა დისკუსია, მჭიდროდ დაუკავშირდეს იგი საზოგადოების განახლების პროცესებს, პრაქტიკულ საქმეებს. უფრო გაბედულად უნდა შეეგადოროთ სხვადასხვა მიდგომა, ფაქიზად მოვეკიდოთ ყოველ კონსტრუქციულ იდეას და ამავე დროს არ დავუშვათ იდეური მერყეობისა და იდეური გაურკვევლობისადმი. შეშფოთებულ ადამიანებს, ეჭვიანებს, ეშინიათ, ეეჭვებათ, ეგონებათ, ეგონებათ, ეგონ

ერთად ვიაროთ გარდაქმნის გზით

(დასასრული)

მიხედვით. შეგვიჩერებინა კრიზისული მოვლენების მოზღვავება, შემლებოდა ოდნავ ადვილად დაგვიჩარებინა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება — არსებითად, სწორედ ასე გვესახებოდა თავდაპირველად ამოცანა, სწორედ ასე აყენებდა მას პარტია. მაგრამ რაც უფრო მეტად ვებმებოდით ამ პროცესში, მით უფრო უკეთ გვესმოდა საზოგადოების ავადმყოფური მდგომარეობა, მით უფრო მკაფიო ხდებოდა, რომ შეუძლებელია ვიკმაროთ ცალეული ნახევების კომსა, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი ორგანიზმის ყველა რგოლის რადიკალური განახლება. ამ განსჯამ თანდათან შვა გარდაქმნის კონცეფცია.

ჩვენ გარდაქმნის დასაბამს ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმიდან ვითვლით. ეს სწორია, მაგრამ გარდაქმნის პოლიტიკის ფესვები დროის მოთხოვნებშია გადგმული, და ცვლილებები თვით ცხოვრების ლოგიკამ გვიკარნახა. მას შემდეგ განვლილმა წლებმა დაიტიეს ისეთი მოვლენები, როგორიც იყო პარტიის XXVII კრილობა, XIX პარტიული კონფერენცია, ცენტრალური კომიტეტის პლენუმები პოლიტიკის კარდინალურ საკითხებზე, ძრავალი ათწლეულის მანძილზე პირველი თავისუფალი არჩევნები, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სამი კრილობა, ახალი მოწვევის უზენაესი საბჭოს სესიები, რომლებზეც მიღებულია ფუნდამენტური კანონები საკუთრების, მიწის, იჯარის შესახებ, და მრავალი სხვა რამ. რესპუბლიკებში და ადგილებზე ახლახან გამართული არჩევნები აგვიოგვინებენ საბჭოთა ხელისუფლების განახლებული სტრუქტურის ფორმირებას. იქმნება სამართლებრივი საფუძვლები, რათა ახალ, ნამდვილად ფედერაციულ საწყისებზე გარდაიქმნას ჩვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილება.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს საიმისოდ, რომ გარდაქმნის შედეგების საწყოდ მივიჩნიოთ ის ძირეული ცვლილებებიც, უკანასკნელი წლების მანძილზე რომ მოხდა საერთაშორისო ურთიერთობაში. უწინარესად, ჩვენ ახლებური საგარეო პოლიტიკის მეშოებით ბოლო მოეღო „ცივ ომს“, მსოფლიოს ასკცა ბირთვული კონფლიქტის საშიშრობა, დაიწყო განიარაღების რეალური პროცესი. როგორც ჩანს, უშუალოდ მრავალი საბჭოთა ადამიანისათვის განსაკუთრებით საგრძნობი იყო ჩვენი ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან. ესეც ერთ-ერთი პირდაპირი შედეგია იმისა, რომ ქვეყანა გარდაქმნის გზას დაადგა.

ეს შევეცდებით თვალის ერთი გადავლებით მოვიცავთ ყოველივე, რისი მოწმენიც და უშუალო მონაწილენიც ვართ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოთხმოციან წლებზე ბოდის, ალბათ, უდიდესი გარდატეხა მსოფლიო ისტორიაში. არსებითად, იბადება ახალი ეპოქა, რომელიც უდიდეს შესაძლებლობებს ჰპირდება ჩვენს ხალხსა და მთელ კაცობრიობას. მე უკვე მითქვამს, მაგრამ საჭიროდ მიმნია კომკავშირის ყრილობის დელეგატებთან ამ შეხვედრაზეც გავიმეორო: რაოდენ რთულ საკითხებსაც უნდა ვწყვეტდეთ, რაოდენ ძნელ, ხშირად დრამატულ გარემოებებსაც უნდა ვაწყდებოდეთ, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს იმ საქმის ისტორიული მასშტაბი, რომელიც პარტიამ და ხალხმა ითავეს, თორემ, ჩვენი მოუწყობელი ცხოვრების სიტუაციის, დეფიციტების, საფიქრალ-საზრუნავის ზემოქმედებით შეიძლება დავკარგოთ ორიენტირები.

არა გვაქვს საფუძველი თუნდაც წუთით დავეეჭვდეთ გარდაქმნის კურსის სისწორეში. იგი ჩვენ გვეპირდება, იგი წვითა და დაგვით მოიპოვა ხალხმა, მას საარსებო მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის — აი, მთავარი კონსტატაცია, რომლითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ მთელ ჩვენს საქმიანობაში. ამიტომ ყველა კითხვის პასუხი უნდა ვეძებოთ არა წარსულში ქექვით, არამედ წინსვლა-განვითარების მეოხებით. უარი კი არ უნდა ვთქვათ გარდაქმნის პოლიტიკაზე, არამედ უნდა გავაღრმაოთ იგი, განვახორციელოთ უფრო თანამიმდევრულად და მტკიცედ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ერთნი უკან გვეწევიან, მეორენი მოგვიწოდებენ თავპირისმტვრევით გავიქცეთ წინ, კაცმა არ იცის, საით. არადა, ჩვენი პოლიტიკის გატარებაში თანამიმდევრულნი, წინდახედულნი და მტკიცენი უნდა ვიყოთ.

ეს მით უფრო საჭიროა გვახსოვდეს, რომ ახლა გარდაქმნის პროცესის ყველაზე ძნელ ეტაპზე ვართ. სეროიოზული შეფერხებები მომარაგებაში, მთლიანად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამწვავება, გაფიცვები, დროდადრო რომ იფეთქებს ხოლმე ამ ნიადაგზე. ეთნიკურ საფუძველზე წარმოშობილი კონფლიქტები, სეპარატისტული, ცენტრიდანული ტენდენციები; მიტინგების სტიქია, რომელშიც ჯანსაღ საწყისთან ერთად ყოველგვარი ანტისოციალისტური იდეები ამოხეთქავს ხოლმე; სისხლის სამართლის დამნაშავეობის ზრდა, საზოგადოებრივი ზნეობის დონის დაქვეითება — ყოველივე ეს ჩვენი დღევანდელობა, ოღონდ უკვე ახლოდან, მსხვილი პლანით დანახული, და ჩვენ ახლა გულხელი კი არ უნდა დავიკიდოთ იმის მოლოდინში, რომ [illegible] თავისთავად ჩაცხრება და მოგვარდება, უკეთესობისაკენ შემობრუნდება, არამედ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ რაც შეიძლება მალე დავძლიოთ [illegible]ისული სიტუაცია, გავიყვანოთ ჩვენი სახელმწიფო ხომალდი ყინულებიდან გამოლილ ზღვაში.

უთქვენოდ ეს ჯერ გამოგვივა, ვერიფაფალი ბეგობრები. ყოველივე ამაში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ მთელმა ჩვენმა კომკავშირმა, მთელმა საბჭოთა ახალგაზრდობამ, ქვეყნის ქალიშვილებმა და ჰაბუკებმა.

რა არის ამჟამინდელი მომენტის დრამატიზმი? ქვეყანა თითქოს ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის იმ მდგომარეობის ბიჯზეა, რომელზეც მე მოგახსენეთ. მართლაც, ჩვენს ეკონომიკაში, შეიძლება ითქვას, დღეს ნამდვილი უმეფობის ხანაა. უკვე გაჩერებულია მბრძანებელური სისტემა, მაგრამ ჯერ სრულად არ ამოქმედებულა ახალი სისტემა, რომელიც ემყარება ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას, თავიანთი შრომის შედეგებით ადამიანთა დაინტერესების სტიმულირებას, ადამიანის მთელი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენას. იგივეა პოლიტიკურ სფეროშიც: პარტია, პოლიტიკური ავანგარდის მისი ახლებური როლის შესაბამისად, უკვე უარს ამბობს და მნიშვნელოვანწილად ხელიც აიღო მეურნეობის ოპერატიულ მართვაზე, სახელმწიფო ცხოვრების სხვა პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაზე, ხოლო ახალი საბჭოები ჯერ მხოლოდ ახლა იდგამენ ფეხს, ვერ აუთვისებიათ სრულად თავიანთი **ხელისუფლებრივი ფუნქციები,** არ დაუკომპლექტებიათ კომპეტენტური აპარატი. ახლა, როგორც იქნა, გვაქვს საამისო სამართლებრივი საფუძველი — მე მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის კანონი, გუშინ რომ მიიღო უზენაესმა საბჭომ.

ერთი სიტყვით, ერთი სისტემიდან გამოვედით, მეორეში კი ჯერ არ შევსულვართ. არსებითად, ასეთივე გარდამავალი მდგომარეობაა ახლა პრაქტიკულად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეს ეხება პარტიასაც, რომელიც ცვლავინდებურად ასრულებს გარდაქმნის პროცესის მთავარი ძრავის როლს, და ამავე დროს თავადაც უნდა გარდაიქმნას, თანაც მტკიცედ, თორემ შეიძლება ავანგარდული პოზიციებიდან განდევნილი აღმოჩნდეს.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ ახლა გვაქვს პლატფორმა, რომელიც განსაზღვრავს არჩეული გზის ძირითად პარამეტრებს, გარდაქმნის, როგორც საზოგადოებრივი პროცესის, მიზნებსა და ამოცანებს, თვით პარტიის როლს განსახლების გზაზე დამდგარ სოციალისტურ საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, პლატფორმა, ისევე როგორც ახალი წესდების პროექტი, რომლებიც კომუნისტების, მთელი ხალხის განსახილველად არის გამოტანილი, სხვადასხვაგვარ მიდგომას აწყდება. გამოითქმის ბევრი დამატება, შენიშვნა, დასაბუთებული კრიტიკა. ყოველივე ეს ჯეროვნად უნდა განხოგადდეს და გათვალისწინებულ იქნეს ამ დოკუმენტების მიღებისას, განხილვისას, და თვით პარტიის ყრილობაზეც.

ამასთანავე ჩვენ წავაწყდით ცდებს აიდინონ პარტია არჩეულ გზას, წავაწყდით განსეთქილებს საფრთხეს: ერთი მხრივ, წარმოიშვა კონსერვატიული მიმდინარეობა, რომელსაც ეშინია გარდაქმნის პროცესის გაღრმავებისა, ის კი არა, აშკარად მოგვიწოდებს დავუბრუნდეთ ძველ დროს, ცხოვრების ფორმებს, რომლებიც ჯერ კიდევ სტალინის დროს იშვა და დიდად არ შეცვლილა განვლილ ათწლეულებში. ასეთი დაბრუნება დამღუპველი იქნებოდა და დიდი ხნით გადაეურეოდა ქვეყანას აღორძინების ყოველგვარ შანსს, ვაგლახ მდგომარეობაში მოაქცევდა მას. ალბრაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მას გადაუვალად მოჰყვებოდა ძველი წესების საგალდებულო ატრიბუტები: რეპრესიები, უსამართლობა, აუტარცხელი მსხვერპლნ, სილაბაკის კონსერვაცია.

იმისათვის, რომ მტკიცე მოქალაქეობრივ პოზიციას დავადგეთ, უნდა ვხედავდეთ, რა მოჰყვება ამას. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხი, უწინარესად ახალგაზრდობა, მტკიცედ უკუაგდებს ცდებს დაადარუნონ ქვეყანა წარსულში, ხელი აგვაღებინონ მოპოვებულ თავისუფლებაზე.

მეორე მხრივ, საზოგადოებას სთავაზობენ უარი თქვას სოციალისტურ პრინციპებზე. არსებითად ბეცდარად ვაღიაროთ 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ გამოვლილი მთელი გზა. ეს იმას ნიშნავს, რომ საფრთხეში ჩავაგდოთ სოციალური მონაპოვარნი, რომლებიც ჩვენი ისტორიული გამოცდილების დიდმნიშვნელოვან პოზიტიურ ნაწილს შეადგენს, გადავუხვიოთ საზოგადოებრივი განვითარების მაგისტრალურ გზას. ბევრი სოციალისტური იდეა და ღირებულება აკი უკვე გახდა და სულ უფრო მეტად ხდება მთელი კაცობრიობის ცხოვრების ნორმა მოახლოებული XXI საუკუნისათვის. ჩვენი პოზიტიური გამოცდილება რომ არა, თანამედროვე ცივილიზაცია, როგორც ეს საყოველთაოდ არის აღიარებული, სულ სხვა იქნებოდა.

ეს ნიშნავს, აგრეთვე, რომ გვეღალატა საბჭოთა ადამიანების უფროს თაობათა ხსოვნისათვის, რომლებიც [illegible]ძიმეს პირობებში იბრძოდნენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დასამკვიდრებლად, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის შესაქმნელად, რომლებმაც იტვირთეს ომის მთელი სიდუხჭირე და გაიმარჯვეს, თავისუფლება მოუტანეს ევროპის ხალხებს.

შეიძლება თქვათ, მერედა, რა საშიშია, თუ ადამიანები ქადაგებენ თავიანთ შეხედულებებს, თუდაც უკიდურესად კონსერვატიულსა და ულტრამემარცხენულს. მართლაც, საჯაროობასა და პლურალიზმს, ჩვენ განვიხილავთ, როგორც დემოკრატიის საყალდებულო ელემენტებს, რომლებიც ქვეყანაში მკვიდრდება გარდაქმნის წყალობით. და, რა თქმა უნდა, ეს გულისხმობს ყოველგვარი შეხედულების გავრცელების შესაძლებლობას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების პრინციპებს, კონსტიტუციით დამკვიდრებულ პრინციპებს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებაში შობილი პოლიტიკური მიმდინარეობანი, ანარქისტებიდან მონარქისტებამდე, არადა, სწორედ ასეთია პოლიტიკური პლურალიზმის სპექტრი, ნაირ-ნაირი ნაციონალისტური და შოვინისტური შეხედულებების ქადაგნსულ უფრო აქტიურ ბრძოლას აჩაღებენ ძალაუფლების მოსაპოვებლად და ჩვენ არა გვაქვს უფლება არ ვხედავდეთ ამას, არ ვრეაგირებდეთ ჯეროვნად. პარტიამ, ცენტრალურმა კომიტეტმა სრულიად ნათლად განსაზღვრეს თავიანთი პოზიცია. თანამედროვე ეტაპზე ჩვენი მიზანია სოციალიზმის რევოლუციური განახლება, და არა უარის თქმა არჩევანზე, ლენინმა, ბოლშევიკებმა, ხალხმა რომ მოახდინეს 1917 წლის ოქტომბერში. ჩვენი მიზანია ქვეყნის კარდინალური განახლება, მისი ეკონომიკის, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის მოდერნიზაცია უწინარეს ყოვლისა იმისთვის, რომ საზოგადოებაში იყოს არა ნაკლები, არამედ მეტი თავისუფლება და სოციალური სამართლიანობა. გარდაქმნის რა თავის რიგებს, პარტიამ უნდა შეინარჩუნოს თავისი მთავარი დანიშნულება — იყოს მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ინტერესების გამომხატველი, სოციალისტური მისწრაფებათა გენერატორი და მატარებელი. ეს არის ჩვენი კრედო, და ამ კრედოთი ვეგებებით პარტიის მორიგ ყრილობას. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი დებულებით წარმართება თვით ყრილობის მუშაობაც.

რა თქმა უნდა, ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, თუ რა იდეურ-პოლიტიკურ ორიენტაციას აირჩევს კომკავშირი. მთელი ოქტომბრის შემდგომი პერიოდის მანძილზე ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაცია პარტიას ბურჯად ჰყავდა ახალგაზრდულ გარემოში. პარტიისა და კომკავშირის ურთიერთობის ისტორია არაერთგვაროვანია. წინათ ეს ურთიერთობა ავტორიტარულ-ბიუროკრატიულ ლი სისტემის ყაიდაზე ეითარდებოდა. კომკავშირული ორგანიზაციები პარტიის დანამატად ითვლებოდა. მათ მნიშვნელოვანწილად ჩამორთმეული ჰქონდათ რეალური დამოუკიდებლობა. ყოველივე ეს წარსულს უნდა ჩაბარდეს, და შეიძლება ითქვას, ბევრი. რამ ჩაბარდა კიდეც. მაგრამ მით უფრო იზრდება იდეურ-პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანის მნიშვნელობა, რომელიც თქვენმა ყრილობამ უნდა მოაბიჯინოს, ამხანაგებო. ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ კომკავშირი არ უღალატებს თავის მისიას, კვლავაც მხარში ედგება პარტიას, კვლავაც პარტიასთან ერთად იდგება.

ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმი — აი, ღირსეული მიზანი, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც უნდა გახდეს ახალგაზრდა თაობის ცხოვრების საქმე, მისი რევოლუციური მოქმედება ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ახლა მინდა შევეხო ერთ ფუნდამენტურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაზე ასევე დამოკიდებულია კომკავშირისა და მთელი ქვეყნის მომავალი. მე პრინციპულად დიდმნიშვნელოვნად მესახება ის გარემოება, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ არ მოიტაყოს თავი და არ აჰყვეს ცრუ წინასწარმეტყველებს, არ მოინუსხოს სირინოზების გალობით, რომლებმაც შეიძლება სიცოცხლე გაუმწარონ და ქვეყანა ჩაითრიონ უბედურების მორევში. მე ახლა მოგახსენებთ იმაზე, რასაც შეიძლება ნაციონალიზმის დემონი ეწოდოს.

მინდა ამთავითვე ზუსტად გავმიჯნო ერთმანეთისაგან ეროვნული და ნაციონალისტური. პირველს განეკუთვნება ყოველი ერის კანონიერი, მართლზომიერი მისწრაფება შეინარჩუნოს თავისთავადობა, ენა, ტრადიციები, ცხოვრების წყობა, ისტორიული ხსოვნა — ყოველივე ის, უორმლისოდაც ადამიანი კარგავს ეროვნულ თვითშეგრძნებას და უთვისტომო ხდება. აქ არ მოვყვები იმ მოვლენების შეფასებას, აღვამად რომ მიმდინარეობს ჩვენი ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში, გეტყვით მხოლოდ, რომ ჩვენს პარტიას, სახელმწიფო ხელისუფლებას ორგანოებს, მე, როგორც პრეზიდენტს, ყველა ჩვენი ხალხების საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიგვაჩნია საბჭოთა ფედერაციის რადიკალური გარდაქმნა.

სულ სხვა საქმეა ნაციონალიზმი. მე მოკლედ განვსაზღვრავდი ნაციონალიზმს, როგორც მისწრაფებას უზრუნველყოს თავიანთი ერის უპირატესობა, დააკმაყოფილონ მისი ინტერესები სხვა ხალხთა ინტერესების გაუთვალისწინებლად, ის კი არა, მათი შელახვის ხარჯზე. ცხადია, რომ ერთთა ნაციონალიზმი გააღვიძებს სხვათა ნაციონალიზმს. ჩვენ დღეს მრავლად ვიცით ამ თეზისის დამადასტურებელი ცოცხალი მაგალითები. წარმოიშობა სიძულვილის მოჯადოებული წრე, რომელსაც თითქმის შეუძლებელია დააღწიო თავი. ჩვენ ამასაც ვხედავთ დღევანდელ ცხოვრებაში.

ნაციონალიზმი შემზარავია თავისი ყოველგვარი გამოვლინებით, მეტადრე, თუ იგი გონებას უბნელებს ახალგაზრდა თაობას. ეს გამომფიტველი და დამაბრმავებელი გრძნობაა. ამიტომ უაღრესად საჭიროა, რომ ყოველგვარი ორგანიზაციული ცვლილებების პირობებში, რომელიც შეიძლება განიცადოს კომკავშირმა, მისი მომავალი წყობისა და პროგრამის თაობაზე ყოველგვარი გადაწყვეტილების მიუხედავად, შევინარჩუნოთ ამ ორგანიზაციის არსებობის პირობად, ის კი არა, უფრო მეტიც — ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს შენარჩუნების პირობად — ინტერნაციონალიზმის პრინციპი.

უნდა უკუვაგდოთ უაზრო ბრალდებები იმ დიდი მიზნის მიმართ, „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ რომ გამოაცხადეს მარქსმა და ენგელსმა. მე ვგულისხმობ მტკიცებას, — თითქოს ინტერნაციონალიზმი ნიშნავდეს ერების შთანთქმას, მათს გათქვეფას ერთ „პროლეტარულ ტაფაში“. ამის საბაბს არცთუ მორეულ წარსულში იძლეოდნენ ჩვენი თეორეტიკოსები. პრაქტიკულადაც ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემა ყოველ ფეხის ნაბიჯზე აყალებდა ინტერნაციონალიზმის ჭეშმარიტ შინაარსს, ცდილობდა თავს მოეხვია ყველასთვის ერთნაირი სტანდარტები, დაეჩქარებინა ერების შერწყმა, ურიგდებოდა უსამართლობას მთელი ხალხების მიმართ.

ყოველივე ეს ასეა, მაგრამ ამან ვერ უნდა შეარყიოს ის უზარმაზარი კეთილშობილი კაპიტალი, რომელიც ჩვენი ხალხების მრავალი წლის გარჯის შედეგია. ვერ უნდა დაეკნინოს თვით ინტერნაციონალური იდეის მნიშვნელობა, რომელიც არამც და არამც არ უარყოფს თვითმმართველობის, ერების დამოუკიდებლობის, თავისთავადობის შენარჩუნების აუცილებლობას. ამ იდეის ცხოვრებისეულობას ამტკიცებს დღეს როგორც ევროპის, ისე მთელი მსოფლიოს გამოცდილება. კაცობრიობა ხომ, თუნდაც ეტაპ-ეტაპ, სხვადასხვა დაბრკოლებების დაძლევის გზით, განუხრელად მიიწევს ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და უბრალოდ ადამიანური ურთიერთობის სულ უფრო ფართო განვითარების მიზნისაკენ. თავისუფალი ერები, ინარჩუნებენ რა თავისთავადობას, სულ უფრო მეტად ერთიანდებიან ერთიან საკაცობრიო ოჯახად.

მაშ, მუდამ გვახსოვდეს ეს, რათა დროებითაც კი არ წავდგათ ნაბიჯი იმის საპირისპირო მიმართულებით, რომლითაც მიმდინარეობს მეორე მსოფლიო ცივილიზაციის განვითარება. ასეთი საშიშროება კი აშკარაა, და ფაქტები ყველას მოგეხსენებათ. დავუსახოთ ახალგაზრდა თაობას გენერალურ მიზნად ღიღაწმა ჩვენი ხალხების მეგობრობის სრული აღდგენისა და განვითარებისათვის. იქნებ, სწორედ ეს უნდა გახდეს კომკავშირის განახლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა და ჭეშმარიტი სასინჯი ქვა იმისა, თუ რაოდენ წარმატებით განხორციელდება ასეთი განახლება.

მინდა, მოკლედ შევეხო საკითხს, რომელიც ახლა ყველაზე მეტად აწუხებს ყოველ ჩვენგანს — როგორ გამოვასწოროთ უახლოეს ხანებში სიტუაცია ეკონომიკაში, ადამიანთა ცხოვრების პირობებში, როგორ შევუმსუბუქოთ მდგომარეობა ხალხს, განსაკუთრებით მცირეგანვითარებულ ეროვნებებს, როგორ გავაუმჯობესოთ ვითარება სამომხმარებლო ბაზარზე, რათა თუნდაც ნაწილობრივ მოვუღოთ ბოლო დეფიციტს, რომელიც გვიწამლავს საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს, კალაპოტიდან აგდებს ხალხს. გავაანალიზეთ რა ვითარება, დავასკვენით, რომ საჭიროა დაჩქარდეს ეკონომიკური რეფორმა. უკვე მიმდინარე წელს და მომავალი წლის დამდეგს განვახორციელოთ ძირითადი ღონისძიებანი ამ მიმართულებით, რომლებიც 1992-93 წლებისათვის იყო დასახული.

პრეზიდენტსა და მის საბჭოს განზრახული აქვთ გამოიყენონ სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება, რათა უკვე უახლოეს ხანს მივიღოთ ღონისძიებათა პაკეტი, რომლებიც ახალ დინამიკას მიანიჭებს ეკონომიკის გარდაქმნებს, უწინარეს ყოვლისა, უზრუნველყოფს მეურნეობრიობის ახალი პრინციპების ეფექტიან რეალიზაციას უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული ფუნდამენტური კანონების შესაბამისად.

ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ზედმეტად მიმაჩნია ამ საკითხის მეტისმეტი დაკონკრეტება და ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ შაბათს გაიმართება პრეზიდენტის საბჭო და საფედერაციო საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზეც უნდა განვიხილოთ საბჭოთა მთავრობის შესაბამისი წინადადებანი. თავდაპირველად უნდა მოვახდინოთ არჩევანი, ხოლო შემდეგ გამოვიტანოთ ხალხის განსახილველად. მაგრამ სიტუაცია საშუალებას გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს უნდა იყოს ძალზე ძნელი, მაგრამ საჭირო გადაწყვეტები, და ჩვენ დაგვეპირდება ეროვნული თანხმობა იმ საკითხში, თუ როგორ წარგმართოთ შემდგომში საქმე.

წინ გვიძევს უაღრესად პასუხსაგები არჩევანი, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უკვე უამრავი მოსაზრება და ვარაუდი გამოითქმის. ზოგიერთი ჟურნალისტი, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოები, რომლებმაც არც კი ინებეს მომავალი სხდომების შედეგებს დალოდებოდნენ, განგაშს სტეხენ და ლამის მოგვიწოდებენ დავადგეთ ეკონომიკური გარდაქმნების რადიკალიზაციის გზას.

პარადოქსია: ხან გააფთრებით ვაკრიტიკებთ ზოზინა რეფორმებს, გაუბედაობას, ორეფფულობას, რაც ძალი და ღონე გვაქვს, გავკივით, დავიჩქაროთო რეფორმები, ხან კი ენთუზიაზმით ვცემთ ყიჟინას: „ნო პასარან!“ (არ გაგიგია), და ეს მაშინ, როდესაც ხეირიანად ვერც კი გავრკვეულვართ, ის კი არა, არც გავცობიგართ მათი დაჩქარების წინადადებებს.

ყოველივე ეს ჩვენი ცხოვრების, გარდაქმნის პროცესის რეალიებია. თქვენ ამ მხრივ დიდი სიდარბაისლე გმართებთ, რამდენადაც ეს შეესაბამება კომკავშირულ ასაკში, როდესაც ენერგია მოზღვავებულია. ახლა ისეთი დროა, რომ ახალგაზრდობა უნდა გახდეს ეკონომიკური რეფორმის რადიკალიზაციის, გეგმების რეალიზაციის „დამკვრელი ბრიგადა“. ზოზინი აშწავავებს სიტუაციას ქვეყანაში, ჩვენ უნდა მოვახდინოთ არჩევანი და მტკიცედ გავუდგეთ ამ გზას.

ახალგაზრდებს, რა თქმა უნდა, აქვთ თავიანთი გარკვეული საარსებო მიზნები და მოთხოვნილებანი. ახალგაზრდულმა პრობლემებმა ახლა თითქოს ერთბაშად ამოხეთქაო და წარმოჩნდა მთელი თავისი სირთულეები. მათ მიიპყრეს საზოგადოების დაძაბული ყურადღება. სწორედ გარდაქმნამ გამოიტანა სამზეოზე, თუ რაოდენ საჭირო ყოფილა დაუყოვნებლივ, საქმით გამოვეხმაუროთ ახალგაზრდა თაობის გამოვავებულ პრობლემებს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შეუშვადეს და განხორციელდეს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა ახალგაზრდობის მიმართ. ასეთი გადაწყვეტილება გამოვიტანეთ ჯერ კიდევ XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე. ამ დღეებში ასეთი პოლიტიკის ზოგადი საწყისების საკანონმდებლო დამკვიდრებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს სსრ კავშირის უზენაესი საბჭო — როგორც მითხრეს, გუშინ პირველი წაკითხვით, მიუღია კიდეც შესაბამისი კანონის პროექტი.

განხილვის პროცესში გამოითქმის სხვადასხვაგვარი, მათ შორის სკეპტიკური შეხედულებანი ახალგაზრდობის შესახებ სპეციალური საკანონმდებლო აქტების მიზანშეწონილობაზე. მართლაც, რა აზრი აქვს ყველაფერი გააიგივო მხოლოდ და მხოლოდ მორიგი კონცეფციის შემუშავებასთან, ცენტრში გადაწყვეტილებათა მიღებასთან თუ სკა-ბაასთან მთიური მილიარდობით მანეთის გამოყოფის შესახებ. ჩემი აზრით, მთავარია მივაღწიოთ მთელი საზოგადოების მკვეთრ შემობრუნებას რეალური ზრუნვისაკენ ახალგაზრდობისთვის, გარანტიულად უზრუნველვყოთ მისი თანასწორუფლებიანი მონაწილეობა ზოგადპოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში. ეს ჩვენ არ გვქონია, უფრო მეტიც, დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგაზრდობა, ალბათ, საზოგადოების სხვა ფენებზე უფრო მეტად აღმოჩნდა გაუცხოებული საკუთრებისაგან, წარმოებისაგან, ხელისუფლებისაგან და, გარკვეულ წილად, კულტურისგანაც. ამის დაძლევა არ არის იოლი საქმე.

ეკონომიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით საჭიროა სწორად, პერსპექტივის ვარაუდით შეეგმნათ პირობები ახალგაზრდობის ინტერესების რეალიზაციისათვის, დავიცვათ მისი შრომითი უფლებები ცვალებადი ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში, სახელმწიფო და საზოგადოება მოვალენი არიან ცხოვრების სტარტზეე დაეხმარონ ახალგაზრდას. მაგრამ საზოგადოებაში ადგილი უნდა განიზომებოდეს არა უბრალოდ უფროს-უმცროსობით, არამედ ნიჭით, განათლების დონით, კვალიფიკაციით, საქმისადმი დამოკიდებულებით. ეს არ უნდა იყოს რაღაც პრივილეგია.

პოლიტიკური თვალსაზრისით ნორმად უნდა იქცეს ახალგაზრდობის სრულფასოვანი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე კარგი კანონები, დემოკრატია, საჯაროობა — სულაც არ არის იმის გარანტია, რომ მიზანს მივაღწევთ. ბევრი რამ არის დამოკიდებული თქვენს პოზიციასა და აქტიურობაზე, როდესაც გამართულ საარჩევნო კამპანიებს ვაანალიზებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ არც ჩვენ გაგვიმართლდა იმედი და არც თქვენ. ეს მოწმობს ახალგაზრდა თაობის მიმართ პარტიის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს და თვით ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის სისუსტეს, ინფანტილობას. ზოგნი ჯერჯერობით მიტინგებს ვერ გასცილებიან. მიტინგების მექანიზმებს დაეუფლნენ, მაგრამ პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობის ხელოვნება ჯერ ვერ უსწავლიათ.

პარტიისა და საერთოდ საზოგადოებისათვის უაზრობაა პოლიტიკური მოღვაწეობის ჩრდილში ამყოფოს ახალგაზრდობა. ეს ნამდვილი უბედურებაა ქვეყნისათვის, და ჩვენ ვიცით, როგორ ხდებოდა ეს გარკვეულ ეტაპებზე და რა მოგვტანა — ხელისუფლების ყველა ეშელონის, აპარატის დაბერება, ეხერგიის დაკარგვა-დაუძლურება, კონსერვატიზმი, ვნება საზოგადოების პროგრესისათვის.

ახალგაზრდობის უფლება-თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია ქალიშვილთა და ჰაბუკთა მიერ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობების პატიოსანი შესრულებისაგან. ასეთია ცოცხალი დიალექტიკური კავშირი, და მხოლოდ ასე შეიძლება ყალიბდებოდნენ ახალგაზრდულ მოძრაობაში ქვეყნის განახლების რევოლუციური პროცესის ნამდვილად შეგნებული შემოქმედნი.

სოციალური თვალსაზრისით საზოგადოების მთელი ატმოსფერო, სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდნენ ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას. მის გაძლიერებასა და გამოავლენას. ეს თანაბრად ეხება საზოგადოებრივი წარმოების სფეროს, სახალხო განათლების სისტემას, მეცნიერებას და კულტურას. არ არსებობს იმაზე უფრო ეფექტიანი დაბანდება, ვიდრე დაბანდება განთლებასა და კულტურაში. ამას ჩვენში უკვე მიხედნენ, მაგრამ ჯერჯერობით არ გარდაქმნილან კონკრეტულ გადაწყვეტილებებად. მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადაიდგა საამისო პირობების შესაქმნელად, რომ ქვეყნის ქალიშვილები და ჰაბუკები მომზადებულნი ეგმებოდნენ ცხოვრებაში. საკითხი აქ ძალზე ბევრია, და არა მარტო ფინანსური. ყოველივე ეს როგორც სახელმწიფოს, ისე კომკავშირის მოვალეობა და საზრუნავია.

ძვირფასო ამხანაგებო, ყოველი ახალი თაობა თავისებურად გადის ცხოვრების გზაზე. განუმეორებელია თქვენი გზის თავისებურებაც, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ თქვენ განსაკუთრებულ ხანაში ცხოვრობთ. თქვენი ახალგაზრდობის წლები დაემთხვეა გარდაქმნას. ამ ისტორიული პროცესის დიდებული სიახლე მოითხოვს ახლებურ აზროვნებას, უკეთაგდებს ბოხებაშეზღუდულ მეხედულებებს, ამსხვრევს სტერეოტიპებს, აძლიერებს ცოდნისა და ზნეობის როლს. თქვენ, ახალგაზრდებმა უნდა გაიგოთ და გაიცნობიეროთ საკუთარი თავისა და საერთოდ მთელი საზოგადოებისათვის ბევრი რამ იქიდან, რაზეც პოზიტიურ პასუხს ვერ მოგცემს წარსული გამოცდილება და ძველი ცოდნა.

მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ობიექტურად, მთელი თავისი სამერმისო მიზანსწრაფვით საზოგადოებაში მიმდინარე ახალი პროცესები გლობალური ცვლილებების საჭიროებას განაპირობებს. ისინი საბოლოო ანგარიშით, ახალგაზრდობას, მის ოცნებებსა და ცხოვრებისეულ გეგმებს ემსახურება. მაშ, მოდით, ერთად ვიაროთ ამ გზით, ერთად გადავწყ

პარლამენტარიზმის პირველი გაკვეთილი საქართველოში

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიათა მონაწილის ფიქრები და შთაბეჭდილებანი

კერძო საკუთრების შემოღებისა და დაკანონების საჭიროებაზე მსჯელობისას **საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მიწის საკუთრების** საკითხი. ეს არის უმწვავესი და განსაკუთრებული მნიშვნელობის პრობლემა, რომლის გადაწყვეტის გარეშე ჩვენი სახალხო მეურნეობის ნაშდვილი და სწრაფი აღმავლობა შეუძლებელი გახდება, რადგან კერძო საკუთრების დაშვება მიწის საკუთრების გარეშე სანახევრო და სრულიად არასაკმარისი ზომა იქნება.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ ჯარაზე, როგორც უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობიდან. ეფექტიან გამოსავალზე. რა თქმა უნდა, ყველაფერი შედარებითია და შესაძლოა ჯარა მართლაც ჯობდეს თავისზე უარეს ფორმას, მაგრამ მიწათსარგებლობის საბჭოურმა წესმა სულ ცოტა სამოცი წლის მანძილზე რომ გამოვცადეთ, ცხადყო, რომ ჩვენ მიერ გამოგებული ფორმები საკუთრებისა (მათ შორის ე. წ. კოლექტიური საკუთრებისა მიწაზე) მაინც არ არის ის, რაც გლეხკაცს მიწას,— ხალხს ამ ძირითად მარჩენალს თავისად აგულვებინებს, რაც შეაცდევინებს მის ამყამინდელ გულცივ დამოკიდებულებას მიწისადმი, კოლექტივიზაციის შემდგომ პერიოდში რომ ჩამოუყალიბდა.

თანამედროვე გლეხკაცი-მიწათმოქმედი მხოლოდ მაშინ იგრძნობს თავს მიწის მეშმარიტ ბატონ-პატრონად, მის კანონიერ და ნამდვილ მფლობელად, როცა **მიწა მისი საკუთრება გახდება. მხოლოდ მტკიცე, უვადო, კანონით გარანტირებული საკუთრება მიწაზე** გაათავისუფლებს გლეხკაცს მუდმივი ეშვისა და შიშისაგან, ვაი, თუ შვილივით ნაოლოლიავები მიწის ნაკვეთი ისევ წამართვანო. მხოლოდ საკუთრება მიწაზე თუ შეცვლის მის ამყამინდელ უდარდელ, წმინდა საქმოსნურ დამოკიდებულებას, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მიიღოს დროებით გაპირვნებული ნაკვეთიდან, თუნდაც ასეთმა ექსპლოატაციამ ეს ნაკვეთი სრულ გაჩანგვებამდე მიიყვანოს. ან რას დაეძებს, მიწა მისი არაა, და ვისაც შემდეგ შეხვდება, ომან იდარდოს.

არ უნდა გვეშინოდეს ვაღიაროთ, რომ სოციალისტური წყობილების პირობებში გლეხკაცმა დაკარგა მიწისადმი ერთგულება, სიყვარული, ინტერესი. იგი გაუცხოურდა, გაუსხვისდა, დაშორდა მას. **ამან თვით ვლადიკაც გამოცვალა.** თანამედროვე მიწათმოქმედი, რომელიც უწინ მიწის თავგადაკლული მზრუნველი, გამფრთხილებელი და ფაქიზი მეპატრონე იყო ახლა მომხმარებლური ინსტინქტი გაუჩნდა და სისხლ-ხორცში გამჯდარი მიწის გაფრთხილების ჩვეულ დაუკარგა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფეტიშიზაციამ, მათი **მონოპოლიზაციის პოლიტიკამ** არ გაამართლა. **მხოლოდ საკუთრების** მიწაზე, **შეწყვეტილულშეხამებულს სახელმწიფო ან კოოპერატიულ საკუთრებასთან** შეუძლიან მიიყვანოს ჩვენი სოფლის მეურნეობა უმაღლესი ინტენსიფიკაციის დონემდე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ნოემბრის სესიის მიერ გახნილულ საკითხთა შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის მაისში დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხი.

საქართველოს სამეცნიერო წრეების დაბმარებით და ქართველი საზოგადოებრობის მხარდაჭერით, კომისიამ, შექმნილმა ამ ისტორიული მოვლენის ნათელსაყოფად, წარმატებით გაართვა თავი ქართველი ერის უაზესი ისტორიის ერთი უძირითადესი და დროთა განმავლობაში საოცრად გართულებული პრობლემის ზოგად-პრინციპულ გადაწყვეტას — მეცნიერულ ნათელყოფას იმისა, თუ როგორ და რა პირობებში დამყარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს პრესის. და განსაკუთრებით გაზეთ „კომუნისტის“ როლი, როგორმაც უშიშრად გამოაქვეყნა მთელი რიგი პრინციპული ხასიათის პრობლემური სტატიები, რითაც დიდად შეუწყო ხელი მეშმარიტების დადგენას.

ძველად, ამ საკითხთა აღძვრაც კი დაუშვებელ, გაუგონარ ამბად ითვლებოდა. ყველაფერი სავსებით ნათლად და სავსებით გასაგებად იყო მიჩნეული; გაზეთმა „კომუნისტმა“ პირველმა დაიწყო ამ საკითხზე, რითაც გზა გაუხსნა ფრიად საინტერესო პუბლიკაციებს.

საქართველოს გასაბჭოების ისტორია საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე დამახინჯებულ-ფალსიფიცირებული იქნა. როგორც რუსულ საბჭოთა ისე ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამეფდა კონიუნქტურული „თეორია“, რომლის მიხედვითაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა არა „გარეშე ძალის“ დახმარებით, არა „გარეგან ხელშეწყობით“, არამედ თვით „ქართველი ხალხის ნებით“, ქართველი მშრომელების „ერთსულოვანი და ერთობლივი აჯანყების შედეგად“.

მაგრამ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიაზე მომუშავე ქართველ ისტორიკოსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე რადიკალურად გადაეფასეს მკვლევართათვის აქამდე მკაცრად დაყადაღებული ეს „სიყვარული ცხადი“, „სამუდამოდ გარკვეული“ პრობლემა და სულ სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს მასაც და მასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენასა და ფაქტს, რომელსაც აქამდე ეშვიოტანლად ანსნილ-ანამარტებულად მიიჩნევდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ნამდვილად მეცნიერული, დოკუმენტირებული სურათის შექმნა, ეს არის ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ყალბი თვალსაზრისის ძირფესვიანი შეცვლა, „რევოლუციური გადატრიალება“, ქართული ისტორიოგრაფიის ერთი ყველაზე საგულისხმო წარმატება ჩვენს დროში. უტყუარ ისტორიულ საბუთებზე დაფუძნებული კონცეფციის შექმნა, ქართული საზოგადოებრივი აზრის დოგმატიზმის ბორკილებისგან გათავისუფლების ნიშნავს და ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების კონიუნქტურული დიქტატისაგან ხსნას მოასწავებს.

ქართველმა ისტორიკოსებმა გრიგოლ ყვანიამ, აკაკი სურგულაძემ, ლევან თოიძემ, იაკობ ფუტკარაძემ და რამდენიმე სხვამ, ჯერ კიდევ კომისიის მუშაობის დაწყებამდე გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნეს უაღრესად საყურადღებო წერილები, რომლებიც უარყოფდნენ აქამდე დამკვიდრებულ ვერსიას. საქართველოს „თავისით“ ე. ი. „მგზნიდან“ გასაბჭოების შესახებ. განსაკუთრებით სრული გამოდგა ლევან თოიძის წერილების სერია, პროფ. დეკი სტურუას რედაქციით.

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ გამოყოფილმა კომისიამ მართებულად მიუთითა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ოფიციალურად შემუშავებული კონიუქტურული თვალსაზრისის მცდარობაზე: **ჯერ ერთი.** ამ თვალსაზრისის მიხედვით საქართველოში სოციალისტურ რევოლუციას უნდა გაემარჯვა 1917 წლის ოქტომბერში (როგორც რუსეთში), ე. ი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველო არ იყო მზად ამ რევოლუციისათვის. **მეორე.** იმის მიზეზად, რომ ოქტომბრის რევოლუციამ „ვერ დაამყარა“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება თვლიდნენ „წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის“ წინააღმდეგობას. **მესამე,** საქართველოს დამოუკიდებლობა (1918-20 წლებში) ოფიციალურ საბჭოურ და პარტიულ თვალსაზრისს მიაჩნდა „მავნე სეპარატიზმად“.

მეოთხე. რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება მიჩნეულ იყო საბჭოთა რუსეთის მხრივ გარკვეულ მოწყალებად, მისი სამშვიდობო პოლიტიკის „დროებით დათმობად“; **მეხუთე.** ოფიციალური საბჭოური და პარტიული თვალსაზრისი (დამკვიდრებული რუსეთშიც და საქართველოშიც) ამტკიცებდა, ვითომც საქართველოში მოხდა ქართველი ხალხის შეიარაღებული აჯანყება, „მეშუვეკიური მთავრობის“ დასამხობად და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დასამყარებლად და, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაც ამის პირდაპირი შედეგია. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სრული სიცრუე იყო, მაგრამ ეს სიცრუე სულ ბოლო დრომდე ეშმაკრიტ შეხედულებად მიგვაჩნდა, როგორც ერთადერთი მართებული პოლიტიკური თვალსაზრისი.

მაგრამ უკვე მაშინ, ბევრისათვის ნათელი იყო, რომ არავითარ „საყოველთაო სახალხო აჯანყებას“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით ადგილი არა ჰქონია. მართალია, ორჯონიკიძემ და მისმა თანამებრძოლებმა იმის საზღაურად, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აფხაზეთსა და ოსეთს მიეცემოდათ ავტონომია, მოახერხეს დაეყოლიებინათ აფხაზი და ოსი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებაზე, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს ლოკალური და გარედან წაბიძგებული აჯანყებანი არავითარ შეთხზევაში არ წარმოადგენდა ქართველი ხალხის „ერთობლივ აჯანყებას“.

ორჯონიკიძემ და მისმა თანამზრახველებმა ამ ხერხით შექმნეს ილუზია, ვითომც ქართველი ხალხი უკმაყოფილო იყო დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისა, რუსეთისაგან მისი გამოყოფისა და ამიტომ აუჯანყდა „მეშნეკეკური დიქტატურის“. „დიდი აჯანყების“ ინსპირირებით, მისი მომიზეზებით, ორჯონიკიძემ და ბოლშევიკ-ენკრატისტებმა საბაბი მისცეს რუსეთის წითელ არმიას შემოქრილიყო საქართველოში, რის საფუძველზეც ორჯონიკიძემ უნდა ძალდატანებით, საჩქაროდ, ხალხის უკთხვევად გამოაცხადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, და ეს მაშინ, როცა საქართველოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილში ეს ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული და მძაფრი ბრძოლები კიდევ გრძელდებოდა.

კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნა, სათანადოდ მოტივირებული, მდიდარ დოკუმენტურ საფუძველზე დანდობილი, ზუსტი და არაორაზროვანია: „საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა—საქართველოში ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა საბჭოური ჩარევის (ინტერვენციის) და ოკუპაციის არსებული პოლიტიკური წყობილების შეცვლის მიზნით. ეს აქცია, მისგან გამომდინარე შედეგებით პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, როგორც ფაქტობრივი ანექსია“.

ამრიგად, დასკვნა, რომელიც ერთხმად დაამტკიცა საქართველოს უზენაესმა საბჭომ თავის ნოემბრის სესიაზე, უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისითაც და ისტორიულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც ამაგრებს და ამტკიცებს საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ რესპუბლიკად გამოყოფის უფლებას.

საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ნოემბრის სესიაზე განსახილველ საკითხთა შორის წარმოდგენილი იყო დასკვნა სახელმწიფო კომისიისა, რომელიც შეიქმნა საქართველოს უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, თბილისში **1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის გარემოებათა გამოსაძიებლად.**

კომისია გაეცნო მრავალზე მრავალ დოკუმენტს, დაკითხა ასობით მოწმე, შეისწავლა დაზარალებულთა ჩვენებები, გაესაუბრა პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს, შინაგანი, უშიშროებისა და სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შეიარაღებისა და დაწესებულებათა მეთაურებს, გაანალიზა დოკუმენტალურ ორგანოებში ამ საკითხის შესახებ არსებული დოკუმენტური მასალა, გაითვალისწინა სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზის, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური და სამედიცინო ქვეკომისიების აქტები, წითელი ჯვრის კომიტეტების (მათ შორის საერთაშორისო კომიტეტის) და საზღვარგარეთელი სპეციალისტების დასკვნები, დაათვალიერა სხვა და სხვა წითამტკიცებები, ინახულა ვიდეოფოტო-კინო დოკუმენტები და სხვა.

კომისიამ ჩაატარა უაღრესად შრომატევადი სამუშაო, გამოიჩინა მაღალი პრინციპულობა და საკითხის ფესვში ჩახედვის უნარი. იგი ნამდვილად აღმოჩნდა მოწმოდების სიმაღლეზე. კომისიის დასკვნა ეს არის დასაბუთებული და სამართლიანი ბრალდება ყველა იმის მიმართ, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ შემაძრწუნებელი სადამსჯელო აქციის მომზადებასა და ჩატარებაში.

კომისიის დასკვნები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ იმის გამო, რომ როგორც ყველაფრიდან ჩანს, ზოგიერთი საკავშირო ორგანოსა და უწყების წარმომადგენლები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა საქართველოს საგამომძიებლო კომისიის დასკვნები გააბიაბუროონ და უარყონ, რამდენადაც, საქართველოს კომისიის მიერ მოძიებული მასალა მათთვის სასარგებლო არ არის. ამიტომ, ყოველნაირად უნდა გეცადოთ, რათა საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს 9 აპრილის გარემოებათა გამომკვლევი კომისიის დასკვნები საკავშირო კომისიისათვის გახდეს საქმის გამოძიების ძირითადი საყრდენი და საფუძველი.

საგამომძიებლო კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნების საფუძველზე, დასკვნებისა, რომლებიც თავის ერთობლიობაში არც ერთი ადამიანის ეშვის არ უნდა იწვევდეს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მართებულად მიიჩნია, რომ: 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში ჩატარებული სადამსჯელო ოპერაცია იყო წინასწარ მოფიქრებული სამხედრო აქცია, რომელიც მიზნად ისახავდა ორგანიზებულ, ძალისმიერ ზემოქმედებას ხალხის მასებზე მათი მასობრივი ხოცვისა და დარბევის გზით, ამასთან, განსაკუთრებული დაუნდობლობითა და სისასტიკით. ამ ოპერაციის დროს გარდა ცივი იარაღისა გამოყენებული იქნა აკრძალული მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებანიც.

„მესამე ძალის“ სწორი გაგებისათვის უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ეს მოვლენა ისტორიული პრაქტიკისათვის ზედმიწევნით კარგად ცნობილი ფაქტია. ყოველ მრავალეროვნულ სახელმწიფოში, ე. ი. ისეთში, კონგლომერატული ელემენტი რომ მოსდგამდა და ეთნიკური თვალსაზრისით სათანადოდ შედუღაბებული არ იყო (მაგალითად, რომის თუ საბერძნეთის იმპერიები, არაბთა ხალიფატები, ოსმალეთის, თუ სპარსეთის სახელმწიფოები, ავსტრო-უნგრეთისა თუ რუსეთის იმპერიები და ბევრი სხვა),—იქ „მესამე ძალის“ პრობლემა, **როგორც წესი,** შინაური და საგარეო **პოლიტიკის ქვაკუთხედურ** საგანს წარმოადგენდა და ამ სახელმწიფოთა დიპლომატიის მთავარი საზრუნავი იყო.

ცნობილია, რომ ყოველ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში აუცილებლად პირველობს (ან განუყოფლად ბატონობს) რომელიმე კლასი, ფენა, რელიგიური, პოლიტიკური თუ სოციალური გაერთიანება, ანდა სხვა რომელიმე ალიანსი. ბუნებრივია, რომ იგი დაინტერესებული სახელმწიფო მმართველობის ისეთი ფორმის დამკვიდრება-გახანგრძლივებით, მისი სიცოცხლისუნარიანობით, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელი და სასარგებლოა. ასევე სრულიად ბუნებრივია, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს, ყველა საშუალებას მიმართავს „ხნიერობისაც“ და „არაბუნებრივისაც“, ოღონდ სახელმწიფო მმართველობა ხელიდან არ გაუშვას.

მაგრამ, ასევე სრულიად ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს სათავეში მყოფ ძალებს უპირისპირდება ქვეყნის გამგებლობისაკენ მსწრაფი მოწინააღმდეგე ძალები. ერთნიცა და მეორენიც აწარმოებენ მოკავშირეთა ძებნას და მრავალეროვნულ, მრავალკლასობრივ ქვეყანაში სულ ადვილად პოულობენ მათ. ასეთი „მესამე ძალა“ შეიძლება მოიძებნოს სახელმწიფოს შიგნითაც და მის გარეთაც, სხვა-დასხვა ეროვნული თუ სოციალური ჯგუფების სახით, ანდა სხვა სახელმწიფოს და მისი რომელიმე რეგიონის სახით.

ამ გარემოებას, როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური ძალების მხრივ ყოველთვის უდიდესი ყურადღება უნდა ექცეოდეს. ამიტომ, მოწინააღმდეგე ძალთა საბრძოლო მზადების დროს, „მესამე ძალის“ **„ვინაობა“, მიზნები და შესაძლებლობანი** პირველ რიგში უნდა იანგარიშებოდეს და ზუსტდებოდეს.

ყოველი ცენტრალური ხელისუფლება იძულებულია არ დაუშვას მოწინააღმდეგე ძალების შეკავშირება-გაერთიანება და ყოველი ღონე იხმაროს მათ გასათიშად და ურთიერთ წესაკედლებლად. აი, მაშინ მიმართავენ ძველზე-ძველ ფორმულას — „გათიშე და იბატონე“, რომელსაც ხშირზე-ხშირად უკავშირდება „მესამე ძალის“ ხერხიც. მაგრამ „მესამე ძალის“ ხერხს წმინდა ზნეობრივი თვალსაზრისით ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეგაფასებთ. ცნობილია, რომ ზოგიერთ ეპოქასა და ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად იხვლისში, მას უფრო შენიღბულად და ფარისევლურად იყენებდნენ, ზოგიერთნი კი, მაგალითად, თვითმპყრობელურ რუსეთსა და ავტოკრატულ აზიურ სახელმწიფოებში უფრო აშკარად და უხეშად. თუმცაღა აქაც და იქაც მეტად ხშირად, აქტიურად და თანამიმდევრულად.

„მესამე ძალის“ ფაქტორისათვის, თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთხელ მიუმართავს ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოსაც. და, ეს არც უნდა გვიკვირდეს და არც გვწყინდეს. გაერთიანებულ საქართველოსაც და მის ცალკეულ სამეფოებსაც ხშირად და ეფექტურად გამოუყენებიათ „მესამე ძალად“ სხვა ქვეყანა თუ ხალხი და თვითონაც არაერთხელ ყოფილან ამ როლში. „მესამე ძალა“ ზოგჯერ აქტიური „მოკავშირის“ სახეს ატარებდა, ზოგჯერ კი მორჩილი ვასალისა. სახელმწიფოები და ხალხები ხან ნებით თანხმდებოდნენ ასეთ „მისიაზე“ (რაღაც სარგებლის მიმოდინაზე), ხანაც იძულებული იყვნენ თავისზე ძლიერის ნებას დაჰყოლოდნენ.

არავის არ უნდა ეგონოს, ვითომც ეს მეთოდი უკვე მოძველდა და სოციალისტური წესი მას აუცილებლად გააუქმებს! ეს საზიანო ილუზია იქნება. „მესამე ძალა“ იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს სახელმწიფოები, როგორც დათრგუნვის ორგანოები და, მაშასადამე, „დამთრგუნველებითა“ და „დასათრგუნველებით“, სანამ იარსებებენ ერები და მათი კავშირები. ამდენად, მას კიდევ ხანგრძლივი სიცოცხლე ელის და „პრაქტიკაშიც“ არაერთხელ იქნება გამოყენებული. არიან ქვეყნები, რომელთაც თავიანთი ისტორიის გარკვეული წანამძღვარებისა გამო, „მესამე ძალის“ მათ წინააღმდეგ გამოყენების საშიშროება განსაკუთრებით ემუქრებათ. სამწუხაროდ, ამგვარი საფრთხე საქართველოს ქუდ-ბედად დაჰყვა და ეს გარემოება მუდამ უნდა გვახსოვდეს.

ერთი სიტყვით, „მესამე ძალის“ ფაქტორის არსებობას თვით ცხოვრება, თვით ისტორია განაპირობებს. **ამიტომ ამ ხერხის გამოყენება მის გამომყენებელს კი არ უნდა ვუკვლიოთო, არამედ იმ პოლიტიკოსებს და სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც მას ვერა ხედავენ ან თავის ხალხს ამ საშიშროებისგან ვერ აშველენ.** ასე მოხდა, მაგალითად, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, 1918-21 წლებში, როცა ჩრდილო კავკასიასა და მოსკოვში თავმოყრილმა ქართველ ექტრემისტ-ბოლშევიკთა ჯგუფმა ს. ორჯონიკიძისა და მისი თანამზრახველების მეთაურობით შეძლეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მისივე რეგიონების აჯანყების ინსპირირება და ამ საბაბით, საბჭოთა რუსეთის მხრივ საქართველოს ოკუპაცია.

მაშასადამე, ყოველ პოლიტიკოსსა და დიპლომატს, თუ იგი მშობლიურ ქვეყანას ემსახურება და ჭეშმარიტ სიმაღლეზე დგას, უნდა ჰქონდეს უნარი თავისი ქვეყნის საწინააღმდეგო „მესამე ძალის“ წინასწარი გამოცნობის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი რაობისა და მიზნების დადგენისა, რათა დროზე მოხერხდეს ამ საშიში ძალის ნეიტრალიზაცია, ანდა სრული გამოთიშვა.

არ არსებობს სახელმწიფო, არც კაპიტალისტური და არც სოციალისტური, რომელიც ნებით დასთმობდეს თავის თავს და, მაშასადამე, არ შეეცდებოდეს „მესამე ძალის“ გამოყენებას. ამ როლისათვის კი არჩევანი ყოველთვის არსებობს. ასეთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის შიგნით მოსახლე ეროვნული უმცირესობანიც, ოპოზიციური პარტიებიც და ორგანიზაციებიც, სოციალური და პოლიტიკური დაჯგუფებანიც, მეზობელი სახელმწიფოები და მათი კორპორაციებიც, რელიგიური გაერთიანებები და ზოგიერთი სხვა.

„მესამე ძალა“ საოცრად მრავალფეროვანია. იგი ხშირად ისეთი მოულოდნელი, ძნელად გამოსაცნობი და „ღონიერია“, რომ ქვეყნისა და ხალხის ისტორიული ბედიღბლის მკვეთრად შეტრიალებაც კი ძალუძს. ჩვენდა სავალალოდ, საქართველო არაერთხელ გამხდარა მტრული „მესამე ძალის“ საქმეში ჩართვის მსხვერპლი. განსაკუთრებით XVIII-XIX საუკუნეებში, როცა რუსეთის თვითმპყრობელობა ათას ხრიკს მიმართავდა საქართველოს წინააღმდეგ, მის დასუსტებლად, რათა უფრო ადვილად მოექცია თავისი ორთავიანი არწივის ბრუყალებში. არც თანამედროვე ავტოკრატები და არც „ძლიერი ცენტრის“ აპოლოგეტები დაერიდებიან ამ ნაადი „ხერხის“ გამოყენებას.

მრავალ ჩვენთაგანს ახსოვს, როგორ აზვირთებოდა ხოლმე ოფიციალური პროპაგანდის ტალღები წინასწარ დადგენილ „ტრადიციულ დღეებში“ — ბელადების დაბადებისა თუ გარდაცვალების დღეებში. რამდენი ასეთი „სამახსოვრო“ დღე გვქონდა დადგენილი. მათ შორის განსაკუთრებით აღინიშნებოდა — „სტალინური კონსტიტუციის დღე“.

მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ თვით კონსტიტუცია მხოლოდ მაშინ გაგვახსენდებოდა, როცა „მის დღეს“ აღვნიშნავდით, ან თუ რომელმე ხელმძღვანელი დაიმოწმებდა მას თავის მოხსენებაში. ხოლო ხალხს თავისუფლების ეს „ქარტია“ არც ახსოვდა და არც სპეციალურად, რადგან უმოქმედო და უსარგებლო ფორმალობად, ფარატინა ქაღალდად მიჰჩნდა, რომელიც არც პროგრესებს, არც საზოგადოებას არაფერს ჰპატებდა და არც აკლებდა. იგი ბრეჟნევიანა ნივთივით იყო ისტორიის თაროზე საჩვენებლად შემოდებული.

რევოლუციურმა გარდაქმნებმა და პარლამენტარიზმის პერიოდმა აბსოლუტურად გამოაკვანა ხალხის კონსტიტუციისადმი დამოკიდებულება. ახლა ჩვენი საზოგადოებრიობა არამარტო აქტიურად მსჯელობს კონსტიტუციის პრინციპებსა და დებულებების შესახებ, არამედ აქტიურად იბრძვის მათი სრულყოფისა და ცხოვრებაში დაკვლდრებისათვის. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან ჩვენი ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ გადაკეთებისათვის კონსტიტუციას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. იგი ხალხის ცხოვრების მარეგულირებელი და მასტიმულირებელი ეპოქალური დოკუმენტი უნდა გახდეს.

უმაღლესი იერიდიული ძალის ჭქონე ამ ძირითადმა კანონმა უნდა ჩამოაყალიბოს ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემების საფუძვლები; უნდა დაგვიკვიდროს ქვეყნის სახელმწიფებრივი წყობილებისა და მმართველობის ფორმები; უნდა განაპირობოს ხელისუფლების ორგანოთა ორგანიზაცია და კომპეტენცია; უნდა დაადგინოს ჩვენი მართლმსაჯულებისა და საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები.

კონსტიტუციის ძირითადი ფუნქციებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თუ ქვეყანას არ ეშინია ეპოქასთან შესაბამისობაში მოყვანილი, არსებული ისტორიული ვითარების სრულად გამთვალისწინებელი კონსტიტუცია და თუ მან რეალურად არ გაზარდოს ეროვნული „კანონთა კანონი“, ეს ქვეყანა ვერასოდეს ვერ გახდება სამართლებრივი სახელმწიფო.

ცოტა უცნაური ჩანს, რომ დღეს, როცა დროის შესაფერისი კონსტიტუცია ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია, გამალებით ვქმნით კანონებს, რომელთა შორისაც ზოგიერთი ფრიად საეჭვოა, რომ ახალ კონსტიტუციას „მოერგოს“; რა თქმა უნდა, იგულისხმება არა ჩვენი მოძველებული კონსტიტუციის კოსმეტიკურად შელამაზებული ტექსტი, არამედ ჭეშმარიტად ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული კონსტიტუცია.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და უზენაესი საბჭოს სესიებზე ჩვენი კანონშემქმედობა ისე შორს წავიდა, რომ კონსტიტუციის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მუხლი არ დარჩა, საგანგებო კანონით რომ არ შეგვეზღუდა ან გაგვეერკო, ანდა ნაწილობრივ თუ სავსებით არ შეგვიცვალა. ასეთ „საკერებელ დადებულ“ კონსტიტუციას ვერ ეშინა ის მთლიანობა, ის სრული შინაგანი შეთანხმებულობა, რომელიც აუცილებელია იდეურ-პოლიტიკური, დემოკრატიული, ჰუმანისტური, ერთა თვითგამორკვევითი, პიროვნების თავისუფლებისა და სხვა ასპექტებისათვის.

სულ ახლახან ახალი კონსტიტუციის შექმნის სირთულეებს კიდევ ერთი დაემატა: **სსრ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დაწესება და სსრ კავშირის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.** რითი ასაბუთებდნენ პრეზიდენტის პოსტის შემოღების მომხრენი ამ კანონს, რომელიც მანამდე, სრულიად უჩვეულო იყო ჩვენი წყობილების, ჩვენი ისტორიის, ჩვენი თეორიისა და პრაქტიკისათვის?

უმეტეს მსჯელობათა ძირითადი ქარგა ასეთია: კომუნისტური პარტია უნდა გახდეს ნეშმარიტად დემოკრატიული ორგანიზაცია, უნდა დასთმოს თავისი მონოპოლია სახელმწიფო მმართველობაზე; რომ პარტიამ ფაქტიურად უზურპატორული წესით ხელთ იგდო ქვეყნის გამგებლობის სადავეები და თვითმპყრობელურად, მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მეთოდით, ავტოკრატულად წარმართავდა **რაგორც ქანონმდებლურ, ისე აღმასრულებელ ძალაუფლებას** და რომ ამ გზით, პარტიამ თავის თავში შერწყა სახელმწიფოს ეს ორი ძირითადი ფუნქცია. კომუნისტური პარტიის სახელმწიფო მმართველობიდან ჩამოშორების შემდეგ გაჩნდა „ეაკუუმი“, შეიქმნა მტკიცე სახელმწიფო მმართველობის დეფიციტი, რის შედეგად არნახულად იმატა ბიროკრატიზმმა — სხვადასხვა სახის დანაშაულმა, დაწყებული სპეკულაციით, კორუპციით, მექრთამეობით და გათავებული ორგანიზებული ბიროკრატიზმედებით, იტალიკევეშური ბიზნესითა და კაცის კვლით.

ეს ეს ალბათ ასეთ ეს ეს ეს

ᲣᲙᲘᲡᲝᲤᲘᲡᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ
12 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

● ᲛᲝᲜᲚᲝᲚᲔᲗᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ. ᲐᲥ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲛᲝᲜᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲘᲗᲝ ᲧᲠᲐᲚᲝᲑᲐ, ᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐᲡ ᲬᲘᲜ ᲣᲛᲫᲚᲝᲑᲓᲐ ᲛᲫᲕᲐᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲑᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲐᲓᲒᲝᲛᲐ ᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲛ ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲐᲚᲘᲗᲝᲗ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ.

მოხსენება გააკეთა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ოჩირბატმა. მან პრინციპულად გააკრიტიკა ცენტრალური კომიტეტის წინანდელი ხელმძღვანელობა, რომელიც მისი თქმით, დაადგა პასიურ, მომლოდინე პოზიციას და თავი ვერ გაართვა პარტიისა და სახოგადოების გარდაქმნის თეორიული და პოლიტიკური კონცეფციის დროული შეფასების ამოცანას. შეეხო რა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის განახლების, შინაპარტიული ცხოვრების დემოკრატიზაციის საჭიროებას, ორატორმა, კერძოდ, წინადადება წამოაყენა გათავისუფლონ ცენტრალური კომიტეტი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში შემავალი სამეურნეო ხასიათის გადაწყვეტილებათა მიღებისაგან და 50 პროცენტით შეამცირონ პარტიული აპარატი.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲓᲐᲜ

◎ **ᲢᲠᲘᲙᲝᲚᲘ.** ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელმა მოამარ კადაფიმ მადლობა გადაუხადა პალესტინელთა ფათხის დაჯგუფების რევოლუციურ სამხედრო, რომელმაც სამშაბათს სამი დასავლელი მძევალი გათავისუფლა. ისინი ორ წელიწადზე მეტ ხანს ჰყავდათ დაკავებული ლიბანში.

◎ **ᲐᲛᲐᲜᲘ.** იორდანიის მეფე ჰუსეინმა განაცხადა, რომ მზადდება ეროვნული ქარტია, რომლის მიღებაც შესაძლებელს გახდის აღდგეს ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემა. პოლიტიკური პლურალიზმი, თქვა მან, „დემოკრატიის ქვაკუთხედია. მეფემ აგრეთვე განაცხადა, რომ „კონსტიტუციური საპარლამენტო ცხოვრება ჩვენი საერთო შეუქცევადი არჩევანია“.

◎ **ᲥᲐᲑᲣᲚᲘ.** ავღანეთის შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფები განაგრძობენ ოპერაციებს ქაბულის მიდამოებში, რათა აღკვეთონ ქალაქისათვის რაკეტების დაშენა. გუშინ უვნებლად გასაშვებად მომზადებული რამდენიმე რეაქტიული ჭურვი, აღმოჩენილია დიდძალი ტყვია-წამალი, რომლის ქაბულში ჩატანასაც აპირებდნენ მეამბოხენი. ნანგარხარის პროვინციის უშიშროების ორგანოების თანამშრომლებმა აღკვეთეს ტერორისტთა ჯგუფის ცდა შეეღწიათ ჯელალაბადში აფეთქებათა სერიის ორგანიზაციის მიზნით.

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲐ ᲑᲐᲚᲢᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲛᲐ „Ნ. Უ. ᲜᲘᲣᲗ ᲘᲜᲓ ᲣᲝᲠᲚᲓ ᲠᲔᲞᲝᲠᲗᲘᲡ“ დაბეჭდა ცნობა, რომელშიც ნათქვამია: მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს დაანშინოს ლიტვა, ლატვია მიიღებს დიპლომატიას მოსკოვისაგან დამოუკიდებლობის თაობაზე მას შემდეგ, რაც მისი ახალი პარლამენტი შეიკრიბება თავის სესიაზე 8 მაისს.

დამოუკიდებლობის მომხრენი იმედებად არიან დარწმუნებული, ამბობენ, რომ საკმარისი მხარდაჭერა ექნებათ კენჭის ყრის დროს, რომ უკვე დაავალეს ექსპერტებს კონსტიტუციის საკითხებში შეიმუშაონ პირველი კანონების პროექტები ამ დეკრეტის განსახორციელებლად.

მაგრამ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ მოსკოვთან კონფრონტაცია, ლატვიელები, ლიტველებისაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, არ შეუდგებიან დამოუკიდებელი მილიციის შექმნას და არ მეიფარებენ საბჭოთა არმიიდან დეზერტირებულ ჯარისკაცებს.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ. ᲠᲘᲥᲡᲓᲐᲒᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲗᲘ ᲗᲐᲒᲘ ᲞᲘᲢᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲨᲕᲔᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲘᲭᲕᲐ ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ, ᲚᲘᲢᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘ. მათთვის გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია, რომ დემოკრატიული გზით არჩეული ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის პარლამენტები შვეციის რიქსდაგის ბუნებრივი და ახლო პარტნიორებია დიალოგში იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება გაფართოვდეს თანამშრომლობა ბალტიკის მეშვეობით.

სტოკჰოლმში ვიზიტის დროს, რომელიც შვეციის წინადადებით შეიძლება ამ გზაფხულზე გაიმართოს, განიხილავენ პარლამენტთაშორისი კავშირურთიერთობის განვითარების საკითხებს.

ტ. პეტერსონმა გამოთქვა იმედი, რომ რიქსდაგის წარმომადგენლები მალე ეწვევიან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პარლამენტებს, რაც საშუალებას მისცემს მათ უკეთ გაეკვნენ სიტუაციაში, ბალტიისპირეთში რომ იქმნება.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

● ᲜᲐᲛᲘᲑᲘᲐ

ᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ?

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲛᲝᲣᲮᲔᲑᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ — ᲜᲐᲛᲘᲑᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲔᲡ-ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲝᲪᲝᲕᲐ.

**ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲡᲐᲜᲘᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲛᲘᲗᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲝᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲝᲗᲐ Ა